ბრძანება № 1-51

გორი 05 08 2024წ.

სსიპ – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში საქართველოს ისტორიის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-15 მუხლის პირველი და მე-7 პუნქტების, აკადემიური საბჭოს 2022 წლის 19 ოქტომბრის N6-57 დადგენილებით დამტკიცებული „ სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების" მე-12 და მე-13 მუხლების, „სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2022 წლის 28 ოქტომბრის N6-65 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 02 აგვისტოს გადაწყვეტილებისა და ამავე ფაკულტეტის დეკანის (05.08.2024. N941084) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს მიღება სსიპ – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში საქართველოს ისტორიის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2. განისაზღვროს სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024–2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის დოქტორანტურაში მიღების ვადები:

ა) დოქტორანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია/საბუთების მიღება 2024 წლის 02 სექტემბერი-09 სექტემბერი;

ბ)კვლევითი განაცხადის განხილვა - 2024 წლის 10 სექტემბერი-17 სექტემბერი;

გ) კვლევითი განაცხადის შედეგების გამოცხადება - 2024 წლის 18 სექტემბერი;

დ) კვლევითი განაცხადის შედეგების გასაჩივრება - 2024 წლის 19-20 სექტემბერი;

ე) გამოცდა ინგლისურ ენაში - 2024 წლის 23 სექტემბერი;

ვ) ინგლისური ენის გამოცდის შედეგების გამოცხადება -2024 წლის 24 სექტემბერი;

ზ) ინგლისური ენის გამოცდის შედეგების გასაჩივრება - 2024 წლის 25 სექტემბერი;

თ) ინგლისური ენის გამოცდის აპელაციის შედეგების გამოცხადება -2024 წლის 26 სექტემბერი;

ი) გამოცდა სპეციალობაში – 2024 წლის 27 სექტემბერი;

კ) სპეციალობის გამოცდის შედეგების გამოცხადება – 2024 წლის 30 სექტემბერი;

ლ) სპეციალობის გამოცდის შედეგების გასაჩივრება 2024 წლის 01 ოქტომბერი;

მ) სპეციალობის გამოცდის აპელაციის შედეგების გამოცხადება -2024 წლის 02 ოქტომბერი;

ნ) ხელშეკრულებების გაფორმება დოქტორანტურის კანდიდატებთან – 2024 წლის 03 ოქტომბერი;

ო) ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება - 2024 წლის 04 ოქტომბერი.

3. დამტკიცდეს საქართველოს ისტორიის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიმღები კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) გიორგი სოსიაშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი - თავმჯდომარე;

ბ) ოთარ ჯანელიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

გ) ელდარ მამისთვალიშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

დ) ნიკოლოზ ახალკაცი -ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული დოქტორი;

ე) დავით ჩოჩიშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

4. დამტკიცდეს საქართველოს ისტორიის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ინგლისური ენის გამოცდის ჩატარების მიზნით საგამოცდო კომისიის და საპრეტენზიო საბჭოების შემადგენლობები დანართი 1-ის შესაბამისად.

5. დოქტორანტობის კანდიდატმა ფაკულტეტის მიმღებ კომისიას უნდა წარუდგინოს განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე (დანართი 2) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) კონკურსანტის ავტობიოგრაფია (მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ), CV;

ბ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის ნოტარიულად დამოწმებული ასლი. ერთსაფეხურიანი, ხუთწლიანი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში - სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (არსებობის შემთხვევაში);

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - ქართულად თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული პასპორტის ასლი);

ე) ფოტოსურათი 3X4 (ბეჭდური 2 ც. და ელექტრონული ვერსია CD);

ვ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი/სამხედერო ბილეთი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული საქართველოს მოქალაქეებისთვის);

ზ) საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ (არანაკლებ B2) დონეზე ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი ან დედანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) სამოტივაციო წერილი და ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ განმცხადებელი არ ირიცხება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურაში;

ი) კვლევის თეზისი/კონცეფცია, რომელიც უნდა მოიცავდეს ნაშრომის სავარაუდო სათაურსა და სტრუქტურას, კვლევის საგანსა და საკითხის მნიშვნელობის დასაბუთებას (დანართი 3);

კ) დოქტორანტობის კანდიდატის მიერ უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის/მიმართულების/სფეროს პროფესორების ან ასოცირებული პროფესორების შემადგენლობიდან შერჩეული სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა.

6. განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემებში სამეცნიერო პუბლიკაციების და კონფერენციებში მონაწილეობის მითითების შემთხვევაში, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა

წარმოადგინოს აღნიშნული მასალების ასლები, ასევე სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სხვა დამატებითი მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები.

7. ინგლისური ენის B2 (ALTE/CEFR) დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატები (ვადიანი/უვადო) ათავისუფლებს კანდიდატს შესაბამის ენაში გამოცდიდან. ინგლისური ენის გამოცდიდან ასევე თავისუფლდებიან კანდიდატები, რომელთაც ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხური გავლილი აქვთ ინგლისურ ენაზე.

8. დოქტორანტობის უცხოენოვან კანდიდატს, ინგლისურ ენასთან ერთად, მოეთხოვება ქართული ენის ფლობა, რაც უნდა დადასტურდეს საუნივერსიტეტო გამოცდით ან ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ქართულენოვანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო) დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტით.

9. წინამდებარე ბრძანების მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დოქტორანტობის უცხოენოვან კანდიდატის რეგისტრაციის შემთხვევაში, რომლის მიერაც არ იქნება წარმოდგენილი ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი, საუნივერსიტეტო გამოცდის ჩატარების ჩატარების ვადები და პირობები დარეგულირდება რექტორის შესაბამისი ბრძანებით.

10. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას.

11. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების განთავსება გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

12. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი ალექსანდრე მღებრიშვილი

ინგლისური ენის საგამოცდო კომისია:

ზურაბ ჩხიკვაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი - თავმჯდომარე;

ნინო დავითაშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

საპრეტენზიო საბჭო:

მაია ბოლაშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტი - თავმჯდომარე;

ეკატერინე წულაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული სპეციალისტი.

საქართველოს ისტორიის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიმღები კომისიის საპრეტენზიო საბჭო:

დავით ახლოური - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - თავმჯდომარე;

მამუკა ჯოლბორდი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

დანართი 2

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს,

ბატონ ----------

მოქალაქე----------

(სახელი, გვარი)

(პირადი ნომერი)

მისამართი: ----------

ტელ.: ---------- (ბინა, მობილური)

ელ.ფოსტა: ----------

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილი მაქვს სწავლა გავაგრძელო სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ----------

---------- ფაკულტეტის დოქტორანტურაში ----------

----------საგანმანათლებლო პროგრამაზე.

გთხოვთ, დამიშვათ ინგლისური ენის გამოცდაზე/მილიაროთ სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

განმცხადებელი:

------- ---------- 20--- წელი.

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

_ ფაკულტეტი

_ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

კვლევის თეზისი/კონცეფცია

ინფორმაცია კონკურსანტზე:

გვარი: | სახელი:

სამუშაო ადგილი:

საკონტაქტო მისამართი:

ტელეფონი: | ელ-ფოსტა:

ინფორმაცია პოტენციურ სამეცნიერო ხელმძღვანელზე:

გვარი: | სახელი:

სამეცნიერო ხარისხი: | აკადემიური თანამდებობა:

სამუშაო ადგილი:

საკონტაქტო მისამართი:	

ტელეფონი:		ელ-ფოსტა:	

ინფორმაცია პოტენციურ სამეცნიერო თანახელმძღვანელზე:

გვარი:		სახელი:	
სამეცნიერო ხარისხი:		აკადემიური თანამდებობა:	

სამუშაო ადგილი:	
საკონტაქტო მისამართი:	

ტელეფონი:		ელ-ფოსტა:	

ნაშრომის სავარაუდო სათაური და სტრუქტურა	

კვლევის საგანი	
აღწერეთ საკვლევი სფერო, ახსენით, რატომ არის ეს სფერო მნიშვნელოვანი. გამოკვეთეთ პრობლემის არსი, კვლევის მიზანი და ამოცანები, როგორია თქვენი ჰიპოთეზა.	

ლიტერატურის მიმოხილვა	
კრიტიკულად მიმოიხილეთ საკვლევი თემის ირგვლივ თქვენთვის ცნობილი ლიტერატურა . ჩამოაყალიბეთ, რა იქნება თქვენი წვლილი.	

კვლევის მეთოდები	
წარმოადგინეთ ნაშრომის თეორიული და/ან კონცეპტუალური ჩარჩო. აღწერეთ კვლევის მეთოდები, რომელთა გამოყენებასაც გეგმავთ.	

კვლევის მნიშვნელობა	
წარმოაჩინეთ რატომ არის თქვენი კვლევა მნიშვნელოვანი, რა პრაქტიკული ან/და თეორიული სარგებელს მოიტანს.	

კონკურსანტი

ხელმოწერა

თარიღი